ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის დავით უთმელიძის ანგარიშს 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

პატივისცემით,

დავით უთმელიძე

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე

<u>დანართი: 10 ფურცელი</u>

№10/18148 26.10.16 წ.

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება

ფურცლია რაოდენობა 11 ფურცელი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის დავით უთმელიძის ანგარიში 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში შედგენილია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დავით უთმელიძე - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე, საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების წევრი.

1. ზოგადი ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში, კომისიებსა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ

მე, დავით უთმელიძე, მიმდინარე წელს საკრებულოს მიერ ჩატარებული 24 სხდომიდან, დავესწარი 20 სხდომას. სხდომებზე მიღებული დადგენილებებისა და განკარგულებების რაოდენობა შეადგენს 68 დადგენილებასა და 313 განკარგულებას. ვმონაწილეობდი მათი განხილვის, შესწორებისა და სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

მიმდინარე წლის აგვისტოს თვემდე ვიყავი გარემოს დაცვის კომისიის წევრი და დავესწარი კომისიის მიერ ჩატარებული 20 სხდომიდან 13 სხდომას.

განვიხილე და შევისწავლე კომისიაში შემოსული 31 საკითხი. საკითხების ირგვლივ არსებულ შეკითხვებთან დაკავშირებით შევხვდი მერიის შესაბამისი სამსახურებისა და მერიის დაქვემდებარებაში არსებული არაკომერციული იურიდიული პირების წარმომადგენლებს.

ვმონაწილეობდი კომისიისათვის წარმოდგენილი ინიციატივების დამუშავებაში, შესწორებასა და კომისიის თავმჯდომარესა და სხვა წევრებთან ერთად დოკუმენტების მომზადებაში საკრებულოს სხდომაზე გასატანად. აღნიშნული საკითხებიდან გამოვყოფდი შემდეგ საკითხებს: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის შპს „თბილისის პარკების“ , შპს „უძრავი ქონება-თბილისის“ და შპს „თბილსერვის ჯგუფის“ რეორგანიზაციასთან

დაკავშირებით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე საკრებულოს განკარგულების პროექტი; „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სოფლების - ძველი ვეძისი, დიდგორი და თელოვანი - ტერიტორიაზე მგლისა და ტურის რაოდენობის რეგულირების ღონისძიების განხორციელების შესახებ უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე „მერიასა და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შორის 2016 წლის 23 ივნისს დადებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე ;

ასევე მოვისმინე სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს" და მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2015 წლის სამუშაო ანგარიშები.

აგვისტოს თვიდან ვარ საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი და განვიხილე 50 საკითხი.

2016 წელს ჩატარდა ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 28 სხდომა, რომელთაგან დავესწარი 23 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 139 საკითხის შესწავლაში, შესწორებასა და კომისიის თავმჯდომარესა და სხვა წევრებთან ერთად დოკუმენტების მომზადებაში საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

2. ინფორმაცია დავით უთმელიძის ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორებში“ გაწეული საქმიანობის შესახებ

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ შემადგენლობაში შედის საკრებულოს 3 წევრი. ფრაქციის წევრები თვეში ერთხელ მართავენ ფრაქციის სხდომას საკრებულოში მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. ფრაქციის წევრები წარმოდგენილნი არიან საკრებულოს სხვადასხვა კომისიებში, ფრაქციის სხდომაზე განიხილავდნენ საკრებულოს კომისიებში მიმდინარე საკითხებს და აჯერებდნენ საერთო პოზიციებს.

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ მიერ ჩატარებული 9 სხდომიდან დავესწარი ყველას, მათგან ბოლო ორ სხდომას ვესწრებოდი როგორც ფრაქციის თავმჯდომარე. ფრაქციის სხდომებზე განვიხილეთ სულ 15 საკითხი, რომელთა თაობაზეც ფრაქციის წევრები ამზადებდნენ პოზიციებს, შენიშვნებს შესაბამის კომისიებში წარსადგენად. განხილულ იქნა შემდეგი საკითხები :

1. ვაშინგტონის და ატლანტის ადგილობრივ თვითმმართველობებთან შეხვედრა.
2. ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის შედეგების შეჯამება.
3. ბელორუსიელ საჯარო მოხელეთა დელეგაციის ვიზიტის ორგანიზება.
4. შშმ ბავშვების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის ორგანიზება.

5. სტრასბურგში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრების განხილვა.
6. შშმ ბავშვების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის საორგანიზაციო საკითხები.
7. 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის წესში ცვლილება.
8. გლდანის რაიონის გამგებლად დიმიტრი ორმოცაძის დანიშვნა.
9. 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა.
10. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქ.თბილისის მერიასა და შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიას'' შორის თბილისის ავტობუსების პროექტთან დაკავშირებული ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმება.
11. საკრებულოს წევრის ირაკლი ფავლენიშვილის განცხადება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორებში'' გაწევრიანების შესახებ.
12. ნინო გოგუაძის განცხადება უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
13. ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების'' თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენისა და არჩევის შესახებ.
14. სოციალური დახმარების გაცემის წესი და ჯანდაცვის პროექტები.
15. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხები.

3. **ინფორმაცია ამომრჩევლებთან ურთიერთობის, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ**

მე, დავით უთმელიძე, 2016 წელს შევხვდი 2 000-მდე მოქალაქეს, გავეცანი მათ პრობლემებს, გაცემული მაქვს შუამდგომლობები და რეკომენდაციები. განცხადებათა უმეტესობა ეხებოდა შემდეგ სოციალურ საკითხებს:

1. მედიკამენტების შეძენა
2. მკურნალობის და ოპერაციის დაფინანსება
3. სოციალური აგენტის ვიზიტი და სტატუსის მინიჭება
4. განათლებასთან დაკავშირებული საკითხები
5. კანალიზაციისა და წყალგაყვანილობის პრობლემები
6. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება
7. დასაქმება
8. ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა.

მინდა აღვნიშნო, რომ მოქალაქეთა საჭიროებები ჩემს მიერ მაქსიმალურად იქნა დაკმაყოფილებული არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

4. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

ვარ ქ.თბილისის მერიის „ნაგავშემკრები მანქანებისა და სხვა სპეციალური ტექნიკის შესყიდვის მიზნით ტექნიკური პირობების სრულყოფის, კონკურენტუნარიანი და გამჭვირვალე გარემოს შექმნისთვის პოტენციური მიმწოდებლისგან ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარმოდგენილ განაცხადთა შემსწავლელი კომისიის“ და ,,ქ.თბილისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელში არსებული სანათების დიოდურ სანათებზე (LED) გადასვლის უზრუნველსაყოფად შემოთავაზებისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განცხადთა შემსწავლელი კომისიის შექმნისა და კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ კომისიის წევრი, ასევე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის“ წევრი, რომელთა მუშაობაშიც აქტიურად ვიყავი ჩართული. აღნიშნული კომისიის სხდომა გაიმართა 15-ჯერ, განხილულ იქნა 98 საკითხი.

2016 წლის 5-6 აპრილს დავესწარი პოლონეთის ქ.კრაკოვში გამართულ ევროპის ადგილობრივ ხელისუფალთა კონგრესს, სადაც გამოვედი სიტყვით და ვისაუბრე პლაზმური ნარჩენების გამოყენების, მათი დამუშავების მეთოდების, ბუნებრივ აირად გარდაქმნისა და ელექტროენერგიის წარმოებისთვის გამოყენების შესახებ. სადისკუსიო

პანელის მოდერატორი იყო სერვის-ტექნოლოგიური ფონდის „გდანსკი“ საბჭოს პრეზიდენტი - ბოგდან სედლერი, ხოლო გამომსვლელები იყვნენ: თომას კოტოვსკი, ირინა კუმკოვა - რუსეთის ელექტრო ფიზიკისა და ელექტროენერგეტიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, იერჟი მიზერაჩჟუკი - გდანის საზღვაო აკადემიის ელექტროობის დეპარტამენტის პროფესორი.

აღნიშნული კონგრესის ფარგლებში ჩატარდა წინა წელს დაგეგმილი საქართველოს დღეები, სადაც მოხდა ჩვენი ნაწარმის და ქ.თბილისის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ქალაქის რეკლამირება და წარმოჩენა. თბილისის მუნიციპალიტეტის თანამშრომლების აქტიური მუშაობის შედეგად ჩვენმა საკვებმა პროდუქციამ და ქართულმა ღვინომ დაიმსახურა დიდი მოწონება. აგრეთვე, ძალიან ბევრი კონგრესის მონაწილე სხვადასხვა ქვეყნებიდან დაინტერესდა ქ.თბილისში ვიზიტით. დარიგდა სარეკლამო ბუკლეტები და ფლაერები.

ასევე 5-9 სექტემბერს მივიღე მონაწილეობა კრინიცა-ზდრუეს 26-ე ეკონომიკურ ფორუმში, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის სამთავრობო დელეგაციები და ბიზნეს წრეების წარმომადგენლები. კონგრესზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა ეკონომიკური სტაბილურობა, სოციალური ინოვაციები, როგორც ქალაქში ცხოვრების დონის გასაუმჯობესებელი მეთოდი, მიგრაციის საკითხები და ა.შ

7 სექტემბერს დავესწარი ასევე „აზერბაიჯანული საღამო - პოლონეთ-აზერბაიჯანის ბიზნესის საბჭოს ინაუგურაციის“ შეხვედრას, რომელიც

პოლონეთ-აზერბაიჯანის თანამშრომლობის ასოციაციის, კრინიცას ეკონომიკური ფორუმისა და პოლონეთ-აზერბაიჯანის ბიზნესის საბჭოს მიერ იყო ორგანიზებული.

10-12 სექტემბერს ვიმყოფებოდი პრაღაში, სადაც შევხვდი პრაღა 1-ის მერს ოლდრიხ ლომეცკის და მუნიციპალურ საკითხებთან ერთად განვიხილეთ ძველი ისტორიული ნაგებობების შენარჩუნების საკითხი: თუ როგორ აღვადგინოთ ისინი კულტურული ღირებულების დაკარგვის გარეშე. ამ შეხვედრას ესწრებოდა ასევე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი. ოლდრიხ ლომეცკი მოვიწვიეთ თბილისში და დაგეგმილია მისი ჩამოსვლაც.

შეხვედრა გვქონდა ასევე პრაღა 6-ის ვიცე-მერ მილენა ჰანუსოვასთან, სადაც გაიმართა დისკუსია სოციალური საკითხების შესახებ, კერძოდ, თუ როგორ ხორციელდება პრაღა 6-ში სოციალური დაფინანსებები და პროგრამები, გავუზიარეთ ერთმანეთს გამოცდილება, ამ შეხვედრას ესწრებოდა ასევე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი.

შეხვედრებმა ჩაიარა საქმიანად და პოზიტიურად.

სისტემატურად ვესწრებოდი ასევე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე მომუშავე ჯგუფის - „სითი

ინსტიტუტი საქართველოს“ მუშაობასა და ამ საკითხთან დაკავშრებული ანგარიშის მოსმენას.

პირადად ჩემი ინიციატივით, წლის ბოლომდე მოხდება კახეთის გზატკეცილზე, აეროპორტის გადასახვევეთან აეროპორტის მდებარეობის მიმთითებელი ელექტრონული დაფის განთავსება, რომელიც ღამის საათებში უზრუნველყოფს მკაფიო გამოსახულებით აეროპორტის მიმართულებით გადასახვევის მინიშნებას.

აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს 2016 წლის 1 იანვარი - 2016 წლის ოქტომბერი საანგარიშო პერიოდს.